

პრობლემები და მისი გადაჭრის გზები საჯარო სკოლის კლასის ხელმძღვანელის შრომით საქმიანობაში

ელდინო ჯანგულაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ejangulashvili@yahoo.com

მსოფლიოში განათლების სისტემის განვითარების მთავარი სტრატეგიული მიმართულება პიროვნებაზე ორიენტირებული განათლებაა. ეს ისეთი განათლებაა, როდესაც ურთიერთობაში მასწავლებელი-მოსწავლე წამყვანია მოსწავლის შემეცნებითი მოქმედება და არა სწავლება. ასეთი განათლების სისტემა ასახავს ჰუმანისტურ მიმართულებას ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და პედაგოგიაში. რასაკვირველია, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ამ პრინციპით წარმართვა ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლებში მასწავლებლის ღრმად გარკვევას საჭიროებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა დღის წესრიგში არაერთჯერ დააყენა განათლების სისტემის რეფორმის აუცილებლობა, 2004 წელს მიღებულ კანონში „უმადლესები განათლების შესახებ“ და 2005 წელს მიღებულ კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“, ასახვა ჰპოვა მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილებამ და მიღწევებმა ამ მიმართულებით. შეიცვალა განათლების სისტემის ყველა რგოლის მართვის სისტემა, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ფორმები და მეთოდები. სასკოლო რეფორმის მიმდინარეობას თან ახლავს როგორც წარმატებები, ასევე სიძნელებიც, რამაც გარკვეულწილად დააზარალა სკოლა. ძველის ახლის ჩანაცვლების პროცესში განსაკუთრებით მოიშალა მუშაობა აღმზრდელობითი მიმართულებით, რასაც მოჰყვა საჯარო სკოლების დაცარიელება უფროს კლასელებისგან, პარალელურად გაივსო ციხეები მცირეწლოვანი დამნაშავეებით, მეტწილად განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების გამო. მოსწავლეებში დამკვიდრდა ბილწსიტყვაობა ჩაცმის, ჭამის, საუბრის დაბალი კულტურა, მოიშალა უმცროს – უფროსობის პატივისცემის ინსტიტუტი შესამჩნევი გახდა საზოგადოებაში ქცევის კულტურის არცოდნა და ა.შ.

ჩვენი კვლევის საგანს კლასის ხელმძღვანელის შრომითი საქმიანობა წარმოადგენს. მას კლასის დამრიგებლად, მრჩევლად მოიხსენიებენ. „დამრიგებელი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება. მისი მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა და წრეში; ასევე, უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფება – მოვალეობების გაცნობიერებაში“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2012 სასწ. წელი)

სკოლაში კლასის ხელმძღვანელის შრომით საქმიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ. იყო გადაჭარბებული

მოთხოვნებიც და პასუხისმგებლობაც. მაგ. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, თუ რომელიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლე დაოჯახებას გადაწყვეტდა კლასის ხელმძღვანელს სასტიკად სჯიდა. კლასის დამრიგებლის სამუშაო გეგმებში მოსამზადებელი და სხვადასხვა მიმართულების ჩასატარებელი ღონისძიება ფიქსირდებოდა, რომლის მომზადება ჩატარებასაც სასწავლო დღეები არ ყოფნიდა. (რაც მთლიანად ფორმალურ ხასიათს ატარებდა). აბსოლიტურად მიუღებელი იყო მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, მაგრამ, ისიც აღსანიშნავია რომ კლასის ხელმძღვანელის დასახმარებლად გამოდიოდა მრავალი ჟურნალ – გაზეთი, მეთოდური სახელმძღვანელო, განათლების სამინისტროსა და რაიონულ განყოფილებაში შექმნილი იყო მეთოდური კაბინეტები, მათ საქმიანობას მონიტორინგს უწევდა აღმზრდელობითი დარგის ორგანიზატორი და ფსიქოლოგი (თუმცა უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგის თანამდებობაზე ინიშნებოდა არასპეციალისტი).

გარკვეული წლების განმავლობაში ამ ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო კრიტიკული გახდა დამრიგებლად ინიშნებოდნენ ის პირები ვისაც არც პედაგოგიური გამოცდილება, არც შესაბამისი უნარ-ჩვევები და არც საათობრივი დატვირთვა, არა თუ სადამრიგებლო კლასში, არამედ სკოლაშიც არ გააჩნდათ. ისინი მხოლოდ იღებდნენ კლასის დამრიგებლის მცირე ანაზღაურებას. შეცდომა მოგვიანებით გამოსწორდა. განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ 2011-2012 სასწავლო გეგმაში ცალკე თავი მიეძღვნა „სადამრიგებლო პროგრამას“, სადაც მითითებულია: „საჯარო სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი უნდა ასწავლიდეს თავის სადამრიგებლო კლასს“.

კლასის ხელმძღვანელის საქმიანობისადმი დამოკიდებულებას ისიც ართულებს, რომ ტრადიციულად, სკოლებში მოსწავლეთა **შესაფასებლად იყენებენ ერთ-ერთ მაჩვენებელს – აკადემიური მოსწრების პროცენტს**, რაც არ განსაზღვრავს მოზარდთა აღმზრდელობით დონეს. თუმცა გამოცდილმა პედაგოგებმა ვიცით, რომ ერთია **ვიცი**, მეორეა **ვაკეთებ**. ბევრი მოზარდი თეორიულად შესანიშნავად მსჯელობს ცუდასა და კარგზე. უსამართლობასა და სამართლიანობაზე, მაგრამ სამწუხაროდ მის ქცევაში ეს არ აისახება. ამიტომ, მარტო სასწავლო პროცესის სრულყოფილებისათვის სწრაფვა აღზრდას ვერ უზრუნველყოფს. დღეს სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მოსწავლეს საშუალება აქვს კომპიუტერის საშუალებით სხ-სხვა სახის ინფორმაცია მიიღოს ინტერნეტიდან, გაეცნოს სხ-სხვა ქვეყნის თანატოლების ცხოვრების წესს, მიდრეკილებებს, შეხედულებებს, გართობისა და თავისუფლების ხარისხს, ამით თავისთავად სუსტდება, როგორც სასწავლო პროცესში მიღებული ცალკეული პედაგოგების, ასევე მშობლის ზემოქმედების ხარისხი. ვფიქრობთ მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარება, აღზრდა და ცოდნის მაღალი ხარისხი უნდა შეფასდეს არა მარტო გაკვეთილებითა და ცალკეული საორგანიზაციო ღონისძიებებით, არამედ სასწავლო – აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის, მოსწავლის პიროვნების, მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებისადმი კომპლექსური მიდგომით.

ვინ უნდა განახორციელოს ყოველივე ეს? – რასაკვირველია ამ მიზნის მიღწევისათვის პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს სკოლის თითოეულ

მუშაკზე, მაგრამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კლასის დამრიგებელს უნდა დაეკისროს.

„კლასის ხელმძღვანელი – სკოლის მასწავლებელია, რომელიც სწავლებასთან ერთად ახორციელებს საერთო მუშაობას გარკვეული კლასის მოსწავლეთა კოლექტივის სწავლის, ქცევის, აღზრდის დარგში” (ნარგიზაშვილი ა. ნარგიზაშვილი მ. „პედაგოგიკა” 2006. 43).

კლასის ხელმძღვანელის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა „სამოქალაქო აღზრდა”. რაც ნიშნავს აღზრდას დემოკრატიული სულისკვეთებით.

ნებისმიერი საფეხურის კლასის ხელმძღვანელი ისეთ გარემოს ჰქმნის, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ამით ის ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებაში, შეფასებასა და მოსაზრებების გაცვლაში. იგი ისე გეგმავს ღონისძიებებს, რომ მაქსიმალურად წახალისოს მოსწავლეთა ჩართულობა, შემოქმედობითობა, ამ დროს თითოეული მოსწავლე უნდა ინარჩუნებდეს ინდივიდუალურობას. დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, რომლის დროსაც გამოიმუშავებს ისეთ თვისებებს როგორცაა: შრომისმოყვარეობა და სოციალური ღირებულებებისადმი პატივისცემა, და რაც ყველაზე მთავარია: კანონმორჩილებას, უმცროს-უფროსისადმი, მეგობრებისადმი, თანაკლასელებისადმი პატივისცემას, მიმტეველობას, ტოლერანტობის და სინანულის გრძნობას. კლასის დამრიგებელი ეხმარება ბავშვს შეიცნოს საკუთარი „მე” ამავე დროს პატივს სცემდეს „ჩვენ”. მოზარდმა თავისი შეხედულებები უნდა შეაჯეროს კლასის კოლექტივის ინტერესებიდან გამომდინარე შეხედულებებს, რაც გამორიცხავს კომფლიქტებს კლასში.

კლასის ხელმძღვანელის მთავარი მიზანია მოამზადოს მომავალი თაობა თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრებისა და წარმატებული მოღვაწეობისათვის. ამისათვის ის აქტიურად იყენებს სადამრიგებლო საათს (კლასის საათს). რომელიც შეიძლება ჩატარდეს, როგორც საკლასო ოთახში და მუზეუმში, ისე ღია ცის ქვეშ მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სადამრიგებლო საათს გეგმავს კლასის მრჩეველი კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. რასაკვირველია სხ-სხვა საფეხურის კლასის მოსწავლეებისათვის განსხვავებული ინტერესის, ფორმის და ხასიათის სადამრიგებლო საათი ჩატარდება. მაგ. თუ პირველი კლასის მოსწავლეებისათვის პრობლემა გარემოსთან შეგუება, ელემენტარული სასწავლო ჩვევების დაუფლება, თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობის უნარის განვითარება წარმოადგენს, ზედა საფეხურის კლასში ეს პრობლემა აბსოლიტურად იცვლება. აქ მოზარდები მეტად ერკვევიან თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებში. ჩნდება პროტესტის უფრო თამამი გამოხატულება უფროსების, მშობლების ან მეგობრების მიმართ. შემოდის ფართოს ტოლერანტულობის, მიმტეველობის, სინანულის, სიყვარულის, აგრესიის, სიკეთისა და სიბოროტის თემების განხილვა. ზოგჯერ ჩნდება კონფლიქტები და მათი განხილვები. კლასის დამრიგებელი მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში სადისკუსიოდ უფრო ფართო აუდიტორიას სთავაზობს, რათა დაარწმუნოს მოზარდები პრობლემური საკითხების გადაწყვეტის სისწორეში. „სიბრძნე დაჯერებაშია”... და მან ეს უნდა შეძლოს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კლასის ხელმძღვანელს ევალება, როგორც საადმინისტრაციო ისე სასწავლო პროცესის ხელისშემშლელი პირობების პრევენცია. ამიტომ, ის სასწავლო პროცესიას დაწყებისთანავე ქმნის ქცევის წესებს მოსწავლეთა

აქტიური მონაწილეობით. რითაც ამყარებს წესრიგს როგორც გაკვეთილზე ისე კლასგარეშე და სკოლის გარეშე სივრცეში. კლასში შექმნის არჩევით სიტუაციაში მოსწავლეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას სად როგორ უნდა მოიქცნენ. რომელთა შესრულებაზე წესდება კონტროლი, როგორც მოსწავლეების ისე მასწავლებლის მხრიდან, დადგინდება დასჯის მექანიზმებიც. ბავშვი თავს ვალდებულია თვლის პატივი სცეს იმ წესს, რომლის მიღებაშიც თავად მიიღო მონაწილეობა. ამით კლასი ინარჩუნებს მოწესრიგებულ გარემოს.

კლასის ხელმძღვანელი უნდა იყოს მოზომილი ბავშვთა შესაძლებლობების და მიღწევების შეფასებაში. მან უნდა გამონახოს ეფექტური გზა და ხერხი თითოეულ ბავშვთან მიდგომის, მოზარდის თავისებურებებისა და განვითარების გათვალისწინებით. არ უნდა მოახდინოს მოსწავლეების ერთმანეთთან შედარება. ასევე, ის დიდი ყურადღებას უთმობს სადამრიგებლო კლასში ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვას. ორგანიზაციას უკეთებს მშობლებისა და მასწავლებლების ინდივიდუალურ შეხვედრებს.

კლასის ხელმძღვანელი უდიდესი პასუხისმგებლობით ადგენს სამუშაო გეგმას. ვეთანხმებით ჩვენი დროის თვალსაჩინო მეცნიერს პროფ. შ. მალაზონიას „კლასის ხელმძღვანელი თავის სამუშაო გეგმას მოსწავლეების მათი აქტივის ფართო მონაწილეობით უნდა ადგენდეს ურთიერთთანამშრომლობის ვითარებაში. ეს ერთ-ერთი საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ აღსაზრდელი პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტიდან სუბიექტად ვაქციოთ – შევუქმნათ ძალზე საჭიროგანცდა იმისა, რომ თვითონაც აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში, მისი საქმეების დაგეგმვასა და განხორციელებაში“... (შ. მალაზონია. პედაგოგიკა” თბ 2001. 357).

კლასის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობს კოლეგებთან, იზიარებს მათ შეხედულებებს ყურადღებით ეკიდება მათ გამოთქმულ აზრს. სასწავლო ინოვაციები მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო ერთობლივად ნაფიქრალი და გაანალიზებულია. კოლეგებმა სასურველია ერთად შეიმუშაონ ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. ერთად დაადგინონ კლასის ძლიერი და სუსტი მხარეები და განსაზღვრონ რისი გამოსწორებაა შესძლებელი ერთობლივი მუშაობით. კლასის ხელმძღვანელი სხვა სკოლის პედაგოგებთანაც უნდა ამყარებდეს მეგობრულ კავშირს, რაც დაეხმარება კლასში მიღწეული შედეგების ანალიზში და სამომავლო სტრატეგიების განსაზღვრაში. კლასის ხელმძღვანელმა სისტემატურად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მშობლებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემის და წარმატების შესახებ. უნდა იზრუნოს მშობელთა პედაგოგიზაციისათვის.

კლასის ხელმძღვანელი სისტემატურად აკვირდება და სწავლობს თითოეულ მოსწავლეს, ადგენს მათ პირად ბარათს ანუ (ისტორიას) – დახასიათებას. ამ შემთხვევაში ის ღებულობს სისტემატურ დახმარებას სკოლის ფსიქოლოგის და კოლეგებისგან.

კლასის დამრიგებელი ყოველთვის ახდენს თვითშეფასებას და საკუთარი მოქმედების განხილვას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. აწარმოებს პირად ჩანაწერებს, რათა უკეთ დაინახოს საკუთარი თავი, - როგორც მასწავლებლის. აწუხებს ფიქრი ხომ არ სცილდება მისი პედაგოგიური საქმიანობა ჰუმანურ დემოკრატიულ სტილს და არ იხრება ავტორატიულისაკენ? ის სისტემატურად ზრუნავს საკუთარი გარეგნული იერსახის შექმნაზე, დღენიადაგ იღწვის პედაგოგიური განათლების ამოღებისათვის.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა თვითოეული სკოლის სასწავლო სააღმზრდელო პროცესში. საზოგადოება გამოთქვამს უკმაყოფილებას სკოლების მუშაობის შესახებ. პრობლემის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ გამოკითხვა რამოდენიმე სკოლის სხვადასხვა საფეხურის კლასის ხელმძღვანელებთან, კითხვაზე: „დაასახელეთ პრობლემები, რომლებიც ხელს გიშლით მოსწავლეებთან მუშაობის მაღალ ეფექტურად წარმართვაში“.

აღმოჩნდა, რომ საწუხარი თითქმის ყველგან ერთნაირია. შევეცადეთ ზოგადი სახით ჩამოგვეყალიბებინა ისინი:

1. პირველ ადგილზე გამოიკვეთა პრობლემა: „ოჯახისა და სკოლის გაუცხოვება“. კლასის ხელმძღვანელები პრობლემურ (მწველად აღსაზრდელ) ბავშვებში მოიაზრებენ იმ ბავშვთა კატეგორიას, რომელთა მშობლებიც საზღვარგარეთ არიან წასული და მათი მეთვალყურეობა და აღზრდა მოხუცი ბებია-ბაბუების, დეიდა-მამიდების, ზოგჯერ კი დაქირავებული მეურვეების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ასეთი ბავშვების რიცხვი არც თუ ისე მცირეა.
2. პედაგოგების ნაწილი ფიქრობს, რომ მათი მუშაობის ხარისხს საგრძნობლად ამცირებს ბევრი მშობლისა და ბავშვის მიერ გაგებული „დემოკრატია“. რაც ყველაზე მეტად სკოლის (კლასის) დისციპლინაზე აისახება.
3. პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ სკოლაში გამეფებული ბილწსიტყვაობის, ჩაცმის, ქცევის, ჭამის, მეტყველების დაბალი კულტურის მიზეზი გარკვეულწილად საქართველოში მოქმედი საინფორმაციო საშუალებებია. (განსაკუთრებით ტელე გადაცემები).
4. კლასის ხელმძღვანელები აღიარებენ ფსიქოლოგიური განათლების ნაკლებობას, ადრე მიღებული ცოდნით ისინი ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს.
5. კლასის ხელმძღვანელების აზრით კლასში დისციპლინის დარღვევის (გაცდენები, დაგვიანება, ხმაური) მთავარი ფაქტორი სახელმძღვანელოების არქონაა.
6. კლასის დამგირავებლის განმარტებით, მათ თითოეულ მოსწავლეებთან რომ იმუშაონ მოთხოვნილების მიხედვით, სასკოლო დრო საკმარისი არ არის, ისინი კლასგარეშე მუშაობის აუცილებლობაზე საუბრობენ, რის გამოც სრულიად სამართლიანად ანაზღაურების გაზრდას ითხოვენ.
7. კლასის ხელმძღვანელებს სკოლაში ბავშვების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის ერთ-ერთი ფაქტიურად გაჭირვებული ცხოვრების პირობები მიაჩნიათ. ბავშვების უმცირესი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება.
8. ძალიან მწვავედ დგას კლასში ფეხმძიმე გოგონებთან მუშაობის საკითხი.

გთავაზობთ რეკომენდაციებს:

1. სკოლაში მოსწავლეთა შესაფასებლად იღებენ ერთადერთ მაჩვენებელს – მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების პროცენტს, რაც არ განსაზღვრავს სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესის ნამდვილ მდგომარეობას. შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა აღმზრდელობის დონეს.

2. თუ მოსწავლემ არ ჩაიდინა განსაკუთრებული დანაშაული, ე.წ. „წვრილმანი ქცევის ფორმები” **განსჯის გარეშე რჩება**, რაც მიუღებლად მიგვაჩნია.
3. კლასის ხელმძღვანელი აღზრდაში აპრობირებული ინოვაციური მეთოდების გამოყენებისას აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს აღზრდის პრაგმატული მეთოდით, რადგან ერთია **ვიცი**, მეორეა **ვაკეთებ**. ის უნდა იყოს კლასის ძირითადი საგნის მასწავლებელი.
4. აღზრდა არის პროცესი და არა ერთჯერადი აქტი, ამიტომ კლასის მრჩეველს დიდი პასუხისმგებლობას ვაკისრებთ თითოეული მოსწავლის პირადი ბარათის საშუალებით სამართლიანი მემკვიდრეობითობის შექმნაში, რასაც მომდევნო კლასის ხელმძღვანელები შეისწავლიან და გამოიყენებენ.
5. საჭიროა სკოლებში აღსდგეს აღმზრდელობითი დარგის ორგანიზატორის და ფსიქოლოგის შტატი.
6. **გაიხსნას საღამოს საჯარო სკოლები დაოჯახებული მოზარდებისათვის.**
7. ყურადღება მიექცეს გამოცდილ კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის **გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას**.
8. **მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით შეიქმნას სახალხო უნივერსიტეტები.** დამღეული იქნას სკოლისა და ოჯახების გაუცხოება.
9. სკოლებში კლასის ხელმძღვანელი მოიაზრება აღმზრდელობითი მიმართულებების მუშაკად, ჩვენ ვაკისრებთ **გლობალურ პასუხისმგებლობას, როგორც სააღმზრდელო ისე სასწავლო პროცესზე**.
10. კლასის ხელმძღვანელმა გულდასმით შეისწავლოს „პედაგოგთა ქცევის კოდექსი“. მოსწავლეთა უშუალო დახმარებით და თანააზროვნებით შექმნას კლასის მოსწავლეთა „ქცევის წესები“ და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური „დღის რეჟიმი“
11. კლასის ხელმძღვანელმა გულის ფიცარზე დაწეროს გაბრიელა მისტრალის ათი მცნება.
12. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს საინფორმაციო საშუალებების მიმართ, რომელთა უპასუხისმგებლო საქმიანობაც კიდევ უფრო ართულებს მოზარდთა აქსელარაციის პროცესს.
13. ხელისუფლებამ გადადგა ქმედითი ნაბიჯი სკოლის თითოეული ბავშვის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისათვის.
14. განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გააძლიეროს მოთხოვნა თითოეული საჯარო სკოლაში მოსწავლის ფორმის დანერგვისათვის.
15. კლასის ხელმძღვანელს მიეცეს ხელფასის დანამატი არასამუშაო დროის ასანაზღაურებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არახამია მ. „სკოლათმცოდნეობა“, ქუთაისი 2006
2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „დამრიგებლის წიგნი“ 2010.
3. მალაზონია შ. „პედაგოგიკა“ თბ. 2001.
4. ნარგიზაშვილი ა. „პედაგოგიკა თბ. 2006. 43.
5. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ თბილისი 2005.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. „მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო“ 2009.
7. რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, ჯ. ფოქერინგი „კლასის მართვა“. თბილისი 2009
8. საქ. განათლების და მეცნიერების სამინისტრო. „დედაქალაქის სასწავლო – საადმინისტრაციო დაწესებულებების ფსიქოლოგიური სამსახურის დებულება. 2005 „სკოლის ფსიქოლოგია ეთიკის კოდექსი“. თბ. 2009
9. პიტერ ბრეტი, პასკალ მომპონტი – გელარდი, მარია ელენა სალემა. „მასწავლებელთა კომპიუტერული ჩარო“ .თბ. 2009.

Article received: 2012-11-03